საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება	ეკონომიკის საფუძვლები

სასწავლო კურსის კოდი	

ECTS კრედიტი	5

სასწავლო კურსის სტატუსი

ფაკულტეტი	ბიზნესის ადმინისტრირება

სემესტრი	I

სწავლის საფეხური	ბაკალავრიატი
ტიპი	სავალდებულო

სასწავლო კურსის ფორმატი

ლექცია (საათებში)	15
სემინარი (საათებში)	30
ლაბორატორიული სამუშაო (საათებში)	-
შუალედური და დასკვნითი გამოცდა	4
კონსულტაციები	10
დამოუკიდებელი მუშაობა (საათებში)	91
სულ საათების რაოდენობა	150

ლექტორი/ლექტორები

სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი	1. ნინო დამენია-ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი; 2. გიორგი მიხელიძე - MA in Economics, MSc in Economics; 3. შალვა მეცხოვრიშვილი; 4. ლაშა ჭოჭუა; 5. დათო ადეიშვილი; 6. გიორგი ნაძღაიძე; 7. რატი გაბრიჩიძე; 8. ზვიად ხორგუაშვილი; 9. გრიგოლ მოდებაძე.
საკონტაქტო ტელეფონი	
ელ.ფოსტა	1.n.damenia@agruni.edu.ge; 2.g.mikheladze@agruni.edu.ge ; 5. sh.meckhovrishvili@agruni.edu.ge; 6. l.chochua@agruni.edu.ge; 7. d.adeishvili@agruni.edu.ge; 8. g.nazgaidze@agruni.edu.ge; 9. r.gabrichidze@agruni.edu.ge; 10.z.khorguashvili@agruni.edu.ge; 11. g.modebadze@agruni.edu.ge.

სასწავლო კურსის მიზანი

სტუდენტებში ძირითადი ეკონომიკური იდეების და ეკონომიკის ფუნქციონირების ზოგადი კანონზომიერებების ხედვის ჩამოყალიბება. კერძოდ:

- მარტივი ეკონომიკური ცნებებისა და კონცეფციების სწორი აღქმისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- ეკონომიკური შინაარსის საკითხების შესახებ სწორი მსჯელობისა და საკუთარი ნააზრევის ვერბალური და წერილობთი ფორმით წარმოდგენის უნარის განვითარება.

პრერეკვიზიტები

-

სასწავლო კურსის შინაარსი

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ეკონომიკური აზროვნების სტილი; ეფექტიანობა, გაცვლა და შედარებითი უპირატესობა; შემცვლელები და მოთხოვნის ცნება; მოთხოვნის ელასტიურობა ფასის მიხედვით; ალტერნატიული დანახარჯი და საქონლის მიწოდება; მოთხოვნა და მიწოდება: კოორდინაციის პროცესი; ინფორმაცია, შუამავლები და სპეკულანტები; ფასების მიმღებნი და მაძიებლები; არსებობენ თუ არა მონოპოლიები; შემოსავლები, დანახარჯები და მოგება; სახელმწიფოს კონკურენციული პოლიტიკა; გარემოს დაბინძურება და უფლებათა კონფლიქტი; ინფლაცია, უმუშევრობა და რეცესია.

იხ. დანართი № 1...

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

კურსის სწავლების პერიოდში სისტემატურად ჩატარდება 2 ტიპის მეცადინეობები:

ა) ლექცია,

ბ) სემინარი.

ა) ყოველი ლექციის დროს აიხსნება ახალი (სავარაუდოდ) მასალა სხვადასხვა თვალსაჩინოებების გამოყენებით, რომელიც მოიცავს ყველა ძირითად იდეას და რომლის ცოდნაც აუცილებელია სტუდენტებისათვის, ამასთანავე სტუდენტები აქტიურად უნდა ჩაერთვნენ მსჯელობებში. იმ შემთხვევაში, თუ ახალი თემის გარკვეული ნაწილი ლექციაზე აუხსნელი დარჩება, სტუდენტები დამოუკიდებლად გაეცნობიან მას სახელმძღვანელოდან და გაურკვევლობის შემთხვევაში სემინარულ მეცადინეობაზე შეხვედრისას დასვამენ შეკითხვებს;

ბ) სემინარული მეცადინეობების დროს, უპირველესად, პასუხი გაეცემა სტუდენტების მიერ დასმულ შეკითხვებს, ხოლო შემდეგ განხილული იქნება ახალ თემასთან დაკავშირებული ამოცანები, სავარჯიშოები და სიტუაციები, აგრეთვე - წინა სემინარულ მეცადინეობაზე მიცემული საშინაო დავალების ის ნაწილი, რასაც დამოუკიდებლად თავი ვერ გაართვეს სტუდენტებმა. რამოდენიმე სემინარულ მეცადინეობაზე გარკვეული დრო დაეთმობა გავლილი მასალის რამოდენიმე თემის გამოკითხვას (წერილობით), რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ ნაწილს (ზოგჯერ ქვიზის სახით) ასევე ამოცანებს, სავარჯიშოებს ან ტესტებს.

რამდენიმე მეცადინეობა დაეთმობა ე.წ. საკლასო ექსპერიმენტებს, ანუ ეკონომიკურ სიმულაციებს. რომლის მიზანია ექსპერიმენტის წესით დადგინდეს, რამდენად კარგად მუშაობს თეორია პრაქტიკულ სიტუაციებში.

კონსულტაციებისათვის სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ ლექტორს სასწავლო წლის დასაწყისში შეთანხმებული გრაფიკის დღეებში, ან სამუშაო კვირის დღეებში წინასწარ ინდივიდუალურად შეთანხმებულ სხვა დროს.

შეფასების სისტემა

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის მიზნით, ზოგადად სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ლექტორი უფლებამოსილია სტუდენტის მოსწრების შეფასების საკუთარი სისტემა შეიმუშაოს. თუმცაღა მისი ეს „თავისუფლება“ იზღუდება სტუდენტთა შეფასების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანებისა (ბრძანება № 3 - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ (ბრძანება №785-ით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით)) და სტუდენტის ცოდნის შეფასების ახალი სისტემის შესახებ რექტორის ბრძანების (რექტორის ბრძანება № 15-04/218 (05.08.2011)) მოთხოვნების დაცვის ვალდებულებით.

- სასწავლო კურსის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც შედგება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდისაგან;
- დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულაა 40;
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით 51 ქულა უგროვდება
- შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა;
- დასკვნითი და შუალედური გამოცდები ჩატარდება წერითი ფორმით;
- სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე გასვლა სავალდებულოა მიუხედავად იმისა თუ სტუდენტმა შუალედური შეფასებებით დაგროვილი დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამის დაგროვება შეძლო თუ არა (მინიმუმ 51 ქულა);
- ასევე სავალდებულოა დასკვნით გამოცდაზე არანაკლებ 8 ქულის დაგროვება;
- ორივე გამოცდის ჩატარების პროცედურას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი.

ამ შემთხვევაში დაცული იქნება გამოსაცდელი პიროვნების ანონიმურობა. ლექტორი კი თავად გამოცდების პროცესში (შუალედური (მაქს. 20 ქულა) და დასკვნითი გამოცდა (მაქს. 40 ქულა) საგამოცდო საკითხების მომზადებით, მათთვის ქულადობრივი წონადობის მინიჭებით და შემდეგ კი საგამოცდო ნაშრომების შეფასებით მონაწილეობს.

გარდა ამისა მას შეუძლია შეფასების დარჩენილი 40 ქულა სასაწვლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე საკუთარი შეხედულებისამებრ გადაანაწილოს.

საგნის შეფასების ფორმა	მაქსიმალურ ქულათა ჯამი
სტუდენტის აქტივობა სემინარზე და ლაბორატორიულ მეცადინეობაზე	**10**
ქვიზი 1	**15**
ქვიზი 2	**15**
შემთხვევის ანალიზი	**-**
შუალედური გამოცდა	**20**
დასკვნითი გამოცდა (სავალდებულო)	**40**

შეფასების შკალა

A	ფრიადი	>91%
B	ძალიან კარგი	81-90%
C	საშუალო	71-80%
D	დამაკმაყოფილებელი	61-70%
E	საკმარისი	51-60%
FX	ვერ ჩააბარა	41-50%
F	ჩაიჭრა	<40%

სავალდებულო ლიტერატურა

1. პოლ ჰეინე - ეკონომიკური აზროვნება; ტომი I-II; თავისუფალი უნივერსიტეტის გამომცემლობა 2009

დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა

1. http://www.math.omsu.omskreg.ru/info/learn/micro/D.htm
2. http://daphne.palomar.edu/jose/sabbatical

სწავლის შედეგი

ზოგადი	კურსის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტს შეეძლება: ა) არჩევანისა და ალტერნატიული დანახარჯების კონცეფციებზე დაყრდნობით სხვადასხვა ტიპის სიტუაციებში მოსალოდნელი გადაწყვეტილებების იდენტიფიკაცია და შეფასება; ბ) ზღვრული ანალიზის გამოყენება; გ) მარტივი საბაზრო პროცესების დინამიკის ახსნა გრაფიკული ანალიზის გამოყენებით.
სპეციფიკური (დარგობრივი)	დ) ბაზრებზე ფასებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინდიკატორების ცვლილებებზე დაკვირვება, მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზების დადგენა და ახსნა; ე) შედარებითი უპირატესობის პრინციპის მიხედვით ვაჭრობის პირობების (terms of trade) სწორად განსაზღვრა; ვ) რიგი ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გარშემო არგუმენტირებული მსჯელობა და დისკუსიებში აქტიური მონაწილეობა.

სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები

მიუხედავად იმისა, რომ მეცადინეობებზე დასწრება თავისუფალია, სტუდენტები ვალდებულნი არიან დაიცვან შემდეგი წესები:

- დაგვიანებით არ შემოვიდნენენ მეცადინეობებზე;
- მეცადინეობების მსვლელობისას მობილური ტელეფონი იქონიონ გამორთულ მდგომარეობაში;
- მეცადინეობების მსვლელობისას ნუ დაკავდებიან სხვა საქმით (მაგ. ინტერნეტში "ჩეთ"-ით, ან ყურსასმენიდან მუსიკის მოსმენით).

გამოცდების მიმდინარეობისას აკადემიური თაღლითობა (გადაწერა, არანებადართული საშუალებების გამოყენება, ხმაური და სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა) ისჯება გამოცდიდან მოხსნითა და შეფასება 0–ის გაფორმებით.

გასათვალისწინებელია, რომ ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების მიზანია არა მარტო თეორიული ცნებების შესწავლა, არამედ რეალურ ან არასტანდარტულ სიტუაციებში მათი გამოყენებით სწორი და არგუმენტირებული მსჯელობის უნარის გამომუშავება. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ სტუდენტის მიერ გაცდენილი მეცადინეობები საგრძნობლად იმოქმედებს საბოლოო შეფასებაზე.

სტუდენტს შეუძლია გაუგებარი საკითხების გარშემო კითხვები დაუსვას ლექტორს, ამისათვის შეუძლია გამოიყენოს ელექტრონული საშუალებებიც. შესაძლებლობის შემთხვევაში ლექტორი პასუხს გასცემს სტუდენტს დაუყოვნებლივ, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში კი დანიშნავს დამატებით შეხვედრას.

დანართი № 1
სასწავლო კურსის შინაარსი
(საგნის დასახელება)
სავარაუდო კალენდარული გეგმა

კვირა	ფორმატი	ლექციის/სემინარის/პრაქტიკუმის /ლაბორატორიული სამუშაოს და ა. შ. თემა	ლიტერატურა (შესაბამისი გვერდების მითითებით)
1	ლექცია (1 საათი)	ეკონომიკური აზროვნების სტილი; ეფექტიანობა, გაცვლა და შედარებითი უპირატესობა.	პ.ჰეინე (ტომი I) - თ.1; თ.2; გვ. 7-27
	სემინარი (2 საათი)	თემასთან დაკავშირებით ქეისებისა და ამოცანების განხილვა	შესაბამისი თემის სავარჯიშოები
	ლაბორატორიული სამუშაო (საათი)	-	-
2	ლექცია (1 საათი)	შემცვლელები და მოთხოვნის ცნება	პ.ჰეინე (ტომი I) - თ.3 გვ. 29-53
	სემინარი (2 საათი)	თემასთან დაკავშირებით ქეისებისა და ამოცანების განხილვა	შესაბამისი თემის სავარჯიშოები
	ლაბორატორიული სამუშაო (საათი)	-	-
3	ლექცია (1 საათი)	ალტერნატიული დანახარჯები და საქონლის მიწოდება	პ.ჰეინე (ტომი I) - თ.4 გვ. 55-75
	სემინარი (2 საათი)	თემასთან დაკავშირებით ქეისებისა და ამოცანების განხილვა	შესაბამისი თემის სავარჯიშოები
	ლაბორატორიული სამუშაო (საათი)	-	-
4	ლექცია (1 საათი)	მოთხოვნა და მიწოდება: კოორდინაციის პროცესი	პ.ჰეინე (ტომი I) - თ.5 გვ. 77-97

	სემინარი (2 საათი)	თემასთან დაკავშირებით ქეისებისა და ამოცანების განხილვა	შესაბამისი თემის სავარჯიშოები
	ლაბორატორიული სამუშაო (საათი)	-	-
5	ლექცია (1 საათი)	მოთხოვნა და მიწოდება: თეორიიდან პრაქტიკისაკენ	პ.ჰეინე (ტომი I) - თ.6 გვ. 99-122
	სემინარი (2 საათი)	თემასთან დაკავშირებით ქეისებისა და ამოცანების განხილვა	შესაბამისი თემის სავარჯიშოები
	ლაბორატორიული სამუშაო (საათი)	-	-
6	ლექცია (1 საათი)	ინფორმაცია, შუამავლები და სპეკულანტები	პ.ჰეინე (ტომი I) - თ.7 გვ. 123-142
	სემინარი (2 საათი)	თემასთან დაკავშირებით ქეისებისა და ამოცანების განხილვა	შესაბამისი თემის სავარჯიშოები
	ლაბორატორიული სამუშაო (საათი)	-	-
7	ლექცია (1 საათი)	ფასების დადგენა და მონოპოლიის საკითხი	პ.ჰეინე (ტომი I) - თ.8 გვ. 143-156
	სემინარი (2 საათი)	თემასთან დაკავშირებით ქეისებისა და ამოცანების განხილვა	შესაბამისი თემის სავარჯიშოები
	ლაბორატორიული სამუშაო (საათი)	-	-
8	ლექცია (1 საათი)	ფასების ძიებაში	პ.ჰეინე (ტომი I) - თ.9 გვ. 157-180
	სემინარი (2 საათი)	თემასთან დაკავშირებით ქეისებისა და ამოცანების განხილვა	შესაბამისი თემის სავარჯიშოები
	ლაბორატორიული სამუშაო (საათი)	-	-
9	ლექცია (1 საათი)	კონკურენცია და სახელმწიფო პოლიტიკა	პ.ჰეინე (ტომი I) - თ.10 გვ. 181-202
	სემინარი (2 საათი)	თემასთან დაკავშირებით ქეისებისა და ამოცანების განხილვა	შესაბამისი თემის სავარჯიშოები
	ლაბორატორიული სამუშაო (საათი)	-	-
10	ლექცია (1 საათი)	მოგება	პ.ჰეინე (ტომი I) - თ.11 გვ. 203-229
	სემინარი (2 საათი)	თემასთან დაკავშირებით ქეისებისა და ამოცანების განხილვა	შესაბამისი თემის სავარჯიშოები
	ლაბორატორიული სამუშაო (საათი)	-	-
11	ლექცია (1 საათი)	გარემოს დაბინძურება და უფლებათა კონფლიქტი	პ.ჰეინე (ტომი II) - თ.13 გვ. 33-54
	სემინარი (2 საათი)	თემასთან დაკავშირებით ქეისებისა და ამოცანების განხილვა	შესაბამისი თემის სავარჯიშოები
	ლაბორატორიული სამუშაო (საათი)	-	-
12	ლექცია (1 საათი)	ბაზრები და სახელმწიფო	პ.ჰეინე (ტომი II) - თ.14 გვ. 55-81
	სემინარი (2 საათი)	თემასთან დაკავშირებით ქეისებისა და ამოცანების განხილვა	შესაბამისი თემის სავარჯიშოები
	ლაბორატორიული სამუშაო (საათი)	-	-
13	ლექცია (1 საათი)	ინფლაცია, უმუშევრობა და რეცესია	პ.ჰეინე (ტომი II) - თ.15 გვ. 82-99
	სემინარი (2 საათი)	თემასთან დაკავშირებით ქეისებისა და ამოცანების განხილვა	შესაბამისი თემის სავარჯიშოები

	ლაბორატორიული სამუშაო (საათი)	-	-
14	ლექცია (1 საათი)	ინფლაცია, უმუშევრობა და რეცესია	პ.ჰეინე (ტომი II) - თ.15 გვ. 82-99
	სემინარი (2 საათი)	თემასთან დაკავშირებით ქეისებისა და ამოცანების განხილვა	შესაბამისი თემის სავარჯიშოები
	ლაბორატორიული სამუშაო (საათი)	-	-
15	ლექცია (1 საათი)	შემაჯამებელი ლექცია	პ.ჰეინე (ტომი I-II) - თ.1-15 ტომი I გვ. 7-229; ტომი II გვ. 33-99
	სემინარი (2 საათი)	თემასთან დაკავშირებით ქეისებისა და ამოცანების განხილვა	შესაბამისი თემის სავარჯიშოები
	ლაბორატორიული სამუშაო (საათი)	-	-